საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030105853641817

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/75346 **06 / დეკემბერი / 2017 წ.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის
პირველ მოადგილეს ბატონ ნოდარ კერესელიძეს

ბატონო ნოდარ,

თქვენი 2017 წლის 1 დეკემბრის N 4692/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებსა და წინადადებების წარდგენის საკითხს, გაცნობებთ, რომ ,,საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის'' მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო დოკუმენტში ,,სოფლის განვითარების 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ბენეფიციარებზე გავლენის შეფასების'' ნაწილში აღნიშნულია, რომ დამატებით ბენეფიციარების შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის გამოიყენება ამავე ჩარჩოს დანართი 6-ით გათვალისწინებული ,,ბენეფიციარის ფორმა'', რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული ფორმის მე-7 გრაფაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით, კერძოდ: მკვეთრად გამოხატული შშმ პირი; მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, ასევე მიეთითოს ,,სამედიცინო - სოციალური ექსპერტიზის შესახებ'' საქართველოს კანონი.

რაც შეეხება მიმდინარე წლის 7 დეკემბერს 12:00 საათზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაგეგმილ საკოორდინაციო საბჭოს თემატური ჯგუფების სამუშაო შეხვედრასა და მიმდინარე წლის 11 დეკემბერს 11:00 საათზე საქართველოს სოფლის განვითარების უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში მონაწილეობის საკითხს, წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ელზა ჯგერენაიას (ელ.ფოსტა: ejgerenaia@moh.gov.ge; ტელ.:591221100); ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ქეთევან გოგინაშვილის (ელ.ფოსტა: kgoginashvili@moh.gov.ge; ტელ.:577717984); სოციალური დაცვის დეპარტამენტის პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თეა გვარამაძისა (ელ.ფოსტა: tgvaramadze@moh.gov.ge; ტელ.:577222805) და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის - ბეჟან ლორთქიფანიძის (ელ.ფოსტა: blortkipanidze@ssa.gov.ge; ტელ.: 591241515) კანდიდატურებს.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე